ბიოგრაფია

ვერიკო ჭუმბურიძე

მევიოლინე

2016 წელს ჰენრიკ ვენიავსკის საერთაშორისო მევიოლინეთა კონკურსში გამარჯვებამ დიდი წარმატება მოუტანა 20 წლის ქართველ მევიოლინეს ვერიკო ჭუმბურიძეს. იგი ერთხმად აღიარეს, როგორც მომაჯადოებელი სოლისტი და კამერული მუსიკის არაჩვეულებრივი შემსრულებელი. ,,ვერიკო მომავლის სუნთქვაა, რომელიც საკუთარ წარმოსახვით სამყაროს გვაზიარებს", _ აღნიშნა კონკურსის დირექტორმა ანჯეი ვიტუსკიმ. 2013 წელს კი, პრესტიჟულმა თურქულმა მუსიკალურმა ჟურნალმა ,,ანდანტე" ვერიკო ქვეყნის ,,საუკეთესო ახალგაზრდა მუსიკოსად" დაასახელა.

ვერიკო ჭუმბურიძე დაიბადა 1996 წელს ქალაქ ადანაში (სამხრეთ თურქეთი), ქართულ ოჯახში. სწავლობდა მერსინის უნივერსიტეტში სელაჰათან იუნკუშისა და ლილი ჭუმბურიძის კლასში. 2010 წელს პროექტის ,,ახალგაზრდა მუსიკოსები მსოფლიო სცენებზე" (YMWS) სტიპენდიატი გახდა და საშუალება მიეცა, სწავლა გაეგრძელებინა ვენაში, ,,მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში" პროფესორ დორა შვარცბერგის კლასში. 2015-2022 წლებში ვერიკო სწავლობდა მიუნხენის მუსიკისა და თეატრის აკადემიაში, პროფესორ ანა ჩუმაჩენკოს კლასში. 2022 წლიდან კამერული მუსიკის მეორე ხარისხის მაგისტრად სწავლას აგრძელებს დირკ მომერცსა და რაფაელ მერლინთან მიუნხენის Musikhochschule-ში. ახალგაზრდა მევიოლინეს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ცნობილი მუსიკოსის _ შლომო მინცის, ალბერტ მარკოვის, იგორ ოზიმისა და სხვათა მასტერკლასებში, ასევე შვეიცარიაში, ვერბიეს საერთაშორისო ფესტივალზე.

2025/26 წლის სეზონზე ვერიკო ჭუმბურიძე ვინტონ მარსალისის ვიოლინოს კონცერტს შეასრულებს არტურ რუბინშტეინის ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად პაველ პჟიტოცკის დირიჟორობით, ეს კონცერტი შესრულდება პირველად(პრემიერა) პოლონელი მუსიკის მოყვარულთა წინაშე.

შემდეგი კონცერტი გაიმართება მადრიდში და ასევე ვერიკო პირველად წარდგება მადრიდის Auditorio Nacional-ის დარბაზში, ოტორინო რესპიგის Concerto Gregoriano-ს ესპანელ მაყურებელთა წინაშე.

გარდა ამისა, იგი კატოვიცეს (პოლონეთი) NOSPR ორკესტრთან და ანდრეი ბორეიკოს ხელმძღვანელობით შეასრულებს გია ყანჩელის Chiaroscuro.

შემდეგი კონცერტით პირველად წარდგება Schiermonnikoog-ის , Wonderfeel-ის, BeethovenFest Bonn-ის და Europäische Wochen Passau-ს ფესტივლებზე. შემდეგში ვერიკო დაბრუნდება სტამბულის საერთაშორისო მუსიკის და Storioni-ს ფეატივლებზე.

ამ სეზონზე ასევე მისი სახელისთვის შექმნილი ორი ნაწარმოების ქაან ბულაქის სოლო სავიოლინო სონატა №2 და არის ალექსანდერ ბლეტენბერგის ბიზანტიური რაფსოდიას მსოფლიო პრემიერა შესრულდება.

ვერიკო ჭუმბურიძეს სოლო კონცერტები ჰქონდა ვენისა და ვარშავის ფილარმონიებში; უკრავდა მელბურნის სიმფონიურ ორკესტრთან, ვროცლავის NMF ორკესტრსა და გილბერტ ვარგასთან ერთად. ბორუსანის ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად მონაწილეობა მიიღო სტამბოლის მუსიკალური ფესტივალის გახსნაზე. ჰქონდა კონცერტები ფრანკფურტში ბრანდენბურგის სახელმწიფო ორკესტრთან ერთად, Musikkollegium Winterthur-თან, მარიას თეატრის ორკესტრთან, ლაჰტის სიმფონიურ ორკესრტრთან, ასევე მიუნხენისა და ციურიხის კამერულ ორკესტრებთან ერთად. იგი თანამშრომლობდა ისეთ ცნობილ დირიჟორებთან, როგორებიც არიან: ლუკაშ ბოროვიჩი, რუბენ გაზარიანი, საშა გეტცელი, ჰოვარდ გრიფიტსი, ჯემა ნიუ, მაიკლ სანდერლინგი, აზიზ შოხაკიმოვი და დიმა სლობოდენიუკი. მის საფესტივალო ნუსხაშია: ბეთჰოვენის სააღდგომო, გშტაადის, ოლიმპის მუსიკალური, როზენდალისა და შლეზვინგ-ჰოლშტაინის ფესტივალები. ფესტივალები, რომლის ძირითადი მონაწილეები არიან: ლეიფ ოვე ანდსნესი, სოლ გაბეტა, ნიკოლას ანგელიჩი, Quatuor Ebene, ლიზა ბათიაშვილი, ჟერარ კოსე, კლემენს ჰაგენი, მაქსიმ ვენგეროვი და ტაბეა ციმერმანი.

როგორც კამერული მუსიკის შემსრულებელი ის გამოდის პიანისტ ქეთევან სეფაშვილთან და მამიკონ ნახაპეტოვთან ერთად. ადრე კი საფორტეპიანი Trio Arte-ს წევრი გახლდათ, რომელმაც 2016 წელს იტალიაში, გიოია-დელ-კოლეში პიეტრო არჯენტოს სახელობის საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა. 2016 წელსვე სტამბოლის მუსიკალურ ფესტივალზე შედგა მსოფლიო პრემიერა _ ცნობილმა თურქმა კომპოზიტორმა ოზკან მანავმა სპეციალურად Trio Arte-ს უძღვნა თავისი პიესა. 2022 წლიდან ის არის Trio Vecando-ს, საფორტეპიანო ტრიოს წევრი. ვერიკო ჭუმბურიძემ მიუნხენის კამერულ ორკესტრთან ერთად, ჰოვარდ გრიფიტსის დირიჟორობით, ჩაწერა ანტონ ვრანიცკის სავიოლინო კონცერტი Sony Classical-ისთვის. Klanglogo-ს ლეიბლზე ჩაწერა ჯონ უილიამსის მუსიკა ფილმისთვის `შინდლერის სია~, ბრანდენბურგის კამერულ ორკესტრთან ერთად, ჰოვარდ გრიფიტსის ხელმძღვანელობითა და დირიჟორობით, და Orpheum Musik Stiftung-ის ეგიდით მიიწვიეს 2016 წლის ციურიხის კინოფესტივალის გახსნაზე საოპერო თეატრში.

2016 წლიდან ვერიკო ჭუმბურიძე უკრავს 1756 წელს მილანში დამზადებულ Giambattista Guadagnini-ს ვიოლინოზე, რომელიც მას Deutsche Stiftung Musikleben-მა გადასცა. ახალგაზრდა მუსიკოსის ბიოგრაფიის შეცვლა, რაიმეს დამატება ან გადაკეთება მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

ამ პლატფორმებიდან შეგიძლიათ მიადევნოთ თვალყური ხელოვანის ახალი სიახლეების შესახებ;

@VERIKOTCHUMBURIDZE

Instagram : https://www.instagram.com/verikotchumburidze?igsh=enlwODU1dHRqc3Uz&utm_source=qr
Linktree : https://linktr.ee/verikotchumburidze
YouTube : https://youtube.com/@verikotchumburidze7827?si=zgKXhva-3_WG_Lg_

2025/26

ეს ბიოგრაფია რეპროდუცირებულია ყოველგვარი ცვლილების, გამოტოვების ან დამატებების გარეშე, თუ ვერიკო ჭუმბურიძეს მიერ სხვა რამ არ არის ნებადართული.